

“დამტკიცებულია”
სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის
2020 წლის 15.06 N 03-04 ბრძანებით

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო კოლეჯი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი



სარჩევი

მუხლი 1. რეგულირების სფერო	3
მუხლი 2. გავრცელების წესი	3
მუხლი 3. ტერმინთა განმარტება	4
თავი II. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა	6
მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება	6
მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება	8
მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა:	9
მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	9
თავი III. მობილობა	10
მუხლი 8. კოლეჯში მობილობის წესით ჩარიცხვა, გარე მობილობა, მობილობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურა.	10
მუხლი 9. შიდა მობილობა	13
მუხლი 10. მობილობის უფლების შეზღუდვა	13
მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	14
თავი IV. სასწავლო პროცესის ორგანიზება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი	14
მუხლი 12. სასწავლო პროცესის ორგანიზება	14
მუხლი 13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	15
თავი V. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი	16
მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება საგნობრივი პროგრამის ფარგლებში.	16
მუხლი 15. გამოცდის ჩაბარების წესი.	17
მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში	18
მუხლი 17. სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი	20
მუხლი 18. კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესი, მათი სტრუქტურა და შეფასების მტკიცებულება.	20
მუხლი 18 ¹ . უწყისის შევსებისა და რეგისტრაციის წესი	21
მუხლი 19. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირება, ინდივიდუალუ	22
რი სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმები	22
თავი VI. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა. სასწავლო პროცესის დოკუმენტების წარმოება და შენახვის ვადა	22
მუხლი 20. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემის წესი	22
მუხლი 21. სასწავლო პროცესის დოკუმენტების წარმოება და შენახვის ვადა	23
მუხლი 22. დასკვნითი დებულებები	24
დანართი N 1	24
დანართი N 2	25
დანართი N 3	28
დანართი N 4	29

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (შემდგომში კოლეჯი) სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც ეხება პროფესიული სტუდენტის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის (შემდგომში - სსსმ), სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმებს. ასევე, საგანმანათ-ლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამის) შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს და სტუდენტთა შეფასების სისტემას. ეს წესი ასევე ადგენს სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის (შემდგომში - მასწავლებელი) უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს.
2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №128/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის“ წესდების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების (პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე), 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანების საფუძველზე (პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ)

მუხლი 2. გავრცელების წესი

1. წინამდებარე წესი წარმოადგენს მასწავლებელთან და სტუდენტთან, არასრულწლოვანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანი სტუდენტის შემთხვევაში მის მშობელთან/მეურვესთან/კანონიერ წარმომადგენელთან (შემდგომში - სტუდენტი/წარმომადგენელი) გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2. ამ წესის დაინტერესებული პირებისთვის გაცნობის მექანიზმს წარმოადგენს: ა) კოლეჯის ვებ გვერდზე გამოქვეყნება; ბ) სტუდენტისთვის სწავლის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში ადმინისტრაციის მიერ საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება;
3. ამ წესის დაცვა და შესრულება ევალება კოლეჯის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს.
4. ამ წესის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრაცია, დაკისრებული მოვალეობების მიხედვით.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ დოკუმენტის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ავტორიზაცია – კოლეჯის სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

დიპლომი - უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დიპლომის დანართი - დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისათვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათ მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო – დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, პროფესიული განათლებისა და სპეციალური პროფესიული განათლების კვალიფიკაციებს;

კვალიფიკაცია – უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;

კომპეტენცია – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა;

კრედიტი – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;

მოდული – ჩარჩო დოკუმენტზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამა; სწავლების დამოუკიდებელი, თანამიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევ სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

პროფესიის სტანდარტი – კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებული ამოცანებისა და მოვალეობების ერთობლიობა;

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში);

პროფესიული განათლება - განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პირისთვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რონელსაც/რომლებსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და რომელიც/რომლებიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ;

პროფესიული სტუდენტის მობილობა - პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი, სერტიფიკატი;

პროფესიული ტესტირება - პროცედურა, რომელიც ადგენს პირის მზადყოფნას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი;

პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

პროფესიული სტუდენტის მობილობა - პროფესიული სტუდენტის მობილობა - პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

პროფესიული განათლების მასწავლებელი - პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი - იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები;

ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანია არაქართულენოვანი პირების მიერ ქართული ენის ცოდნისა და შესაბამისი უნარების შექმნა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები;

სტუდენტის სტატუსის შეჩერება - გულისხმობს კოლეჯის და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - გულისხმობს სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებას და საერთო სიდიდან ამორიცხვას

თავი II. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. სსიპ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოპოვება რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ; განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №152/ნ ბრძანება (პროფესიული ტესტირების ჩატარების თაობაზე); სპორტის კოლეჯის შიდა ნორმატიული აქტები - სპორტული ტურის დებულება;
2. ჩარიცხვის პროცედურა
 - ა) პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული ტესტირების გზით;
 - ბ) პროფესიული ტესტირებით ჩარიცხვა წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსების წინაპირობას;
 - გ) პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
3. კონკრეტულ პროგრამაზე მიღების გამოცხადებისა და აპლიკანტთა რეგისტრაციის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება, რითაც განისაზღვრება:
 - ა) პროგრამის დასახელება, საფეხური/დონე;

ბ) თავისუფალი ადგილების რაოდენობა.

გ) რეგისტრაციის ვადა და მასზე პასუხიმგებელი პირი.

4. პროგრამაზე რეგისტრაცია ხორციელდება როგორც ონლაინ რეჟიმში, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ. კოლეჯში რეგისტრაციის გავლისთვის აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. სპორტული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელზეც დაშვების წინაპირობას წარმოადგენს „სპორტული ტურის“ ჩაბარება, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №100);
6. ინფორმაცია პროგრამაზე მიღებისა და რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, დაწესებულების ვებ - გვერდზე და შესაძლოა სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სადაც დამატებით მიეთითება საკონტაქტო და სხვა სახის საჭირო ინფორმაცია;
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა დირექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადი (არასრულწლოვანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანია პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არასრულწლოვანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანია პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლი);

გ) სრული ზოგადი ან საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

დ) იმ პროგრამებზე ჩასარიცხად, რომელსაც აქვს წინა საფეხური, სტუდენტი ვალდებული წარმოადგინოს წინა საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი, ან არაფორმალური განათლების აღიარების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი);

ე) ერთი ფოტოსურათი 3X4-ზე;

8. პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადები განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.
9. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან და მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ბრძანება.

10. დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში მონაცემები ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შესახებ აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
11. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შემდეგ სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება (იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი არასრულწლოვანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან).
12. ხელშეკრულება სტუდენტს, (არასრულწლოვანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანი სტუდენტის შემთხვევაში მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) და კოლეჯს შორის ფორმდება ერთხელ და ის მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის მანძილზე.
13. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე მოიცავს: მის მიერ ჩარიცხვისას წარმოდგენილ დოკუმენტებს, ხელშეკრულებას, პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებით გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის ასლს, სხვა დოკუმენტებს;
14. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე ინახება კოლეჯის ადმინისტრაციაში.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) პროფესიული სტუდენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადება
- ბ) ავადმყოფობა;
- გ) ორსულობა;
- დ) უცხო ქვეყანაში წასვლა;
- ე) ოჯახური მდგომარეობა;
- ვ) სამხედრო სამსახურში გაწვევა;
- ზ) პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
- თ) ფინანსური დავალიანება (ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში);
- ი) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) კოლეჯის დირექტორს, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისა

და სხვა უფლება-მოვალეობებისგან განთავისუფლების თაობაზე აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრისთვის საჭირო ვადით, **არაუმეტეს 1 სასწავლო წლისა.**

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ პროფესიულ სტუდენტს გააჩნია ფინანსური დავალიანება კოლეჯის წინაშე, ან განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
4. პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ განცხადებას და მასალებს იხილავს კოლეჯის დირექტორი და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ.
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესში დაუბრუნებლობის შემთხვევაში პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.
6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობის შესაბამისად. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
7. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.
8. ინფორმაცია სტატუსის შეჩერების შესახებ, სტუდენტთა საერთო რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, შეიტანება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა:

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის დასრულების შემდეგ, სტატუსშეჩერებულ სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე აღუდგება სტატუსი. იგი სწავლას აგრძელებს იმ პერიოდიდან, როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილი სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
4. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე გაუქმებულია, ან შეცვლილია მისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე ან გადავიდეს სხვა დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის ვადის გასვლა;

- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- გ) სწავლის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ პირადი, ან არასრულწლოვანის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
- დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის;
- ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა და აკადემიური ჩამორჩენილობა, რაც გამოიხატება შემდეგში:
 - თუ პროფესიული სტუდენტი ერთ სასწავლო სემესტრში გააცდენს 30 საათს და ამის შემდეგ კოლეჯი სტუდენტს ორჯერ გააფრთხილებს მისთვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, და მიუხედავად ამ ზომებისა სტუდენტი დამატებით კიდევ 15 საათს გააცდენს, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც არსებობს გაცდენის საპატიო მიზეზი ან სხვა ობიექტური გარემოება;
 - თუ პროფესიული სტუდენტი ზედიზედ სამჯერ ვერ ახერხებს სასწავლო დისციპლინის გავლას ან/და გამოცდის ჩაბარებას (საგნობრივი პროგრამის შემთხვევაში);
 - ამავე წესის მე - 14, 15 და მე -16 მუხლებით განსაზღვრული პუნქტების შეუსრულებლობა;
- ვ) კოლეჯის შინაგანაწესის მოთხოვნათა არაერთგზის დარღვევა;
- ზ) თვითდაფინანსების შემთხვევაში ფინანსური დავალიანება;
- თ) გარდაცვალება;

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. შესაბამისი ცვლილებები შეიტანება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. ამ მუხლის 1. პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტებზე, რომლებიც სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

თავი III. მობილობა

მუხლი 8. კოლეჯში მობილობის წესით ჩარიცხვა, გარე მობილობა, მობილობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურა.

1. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
2. მობილობის გამოცხადება, ვადები, ვაკანტური ადგილები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. კოლეჯი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ. ასეთი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მობილობის მსურველი პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც მოდული/სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება;
4. მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა იმ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს.
5. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
6. სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მსურველი სტუდენტი მობილობის ვადებში განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შესაბამისი საბუთების ასლის მოთხოვნით, როგორც სხვა პროფესიულ სასწავლებელში გადასვლის მსურველი.
7. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯის ადმინისტრაციას. განცხადებაში უნდა მიეთითოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.
8. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში;
9. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10. პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
11. საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, პირი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რის საფუძველზეც დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას; კომისია ახდენს მობილობის მსურველის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/ მოდულების აღიარებას და მობილობის მსურველის თანხმობის შემთხვევაში, განსაზღვრავს, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას;

12. კომისიის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებსაც აქვთ სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის კომპეტენცია. ასევე კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და ხარისხის მართვის მენეჯერი. კომისიას უფლება აქვს გაიაროს კონსულტაციები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
13. კომისია ახორციელებს მობილობის მსურველის მიერ წინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენას;
14. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, მიმღები პროგრამით ამ მოდულისათვის გათვალისწინებული კრედიტების ოდენობით;
15. მობილობის დროს, ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ;
16. მოდულური პროგრამების ფარგლებში მობილობით ჩარიცხული პირისათვის საჭიროების შემთხვევაში დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებაში პირს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა;
17. აღიარებას ექვემდებარება III-V საფეხურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღებული კრედიტები და სტანდარტების მოდიფიცირებამდე I და II საფეხურზე სტანდარტით გათვალისწინებული შედეგის შესაბამისი კრედიტები;
18. აღიარებას ექვემდებარება პროფესიული დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განხორციელდა ჩარიცხვა და სწავლება;
19. დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება მოთხოვნილი პროგრამის მიზნებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) სწავლის შედეგები ემთხვევა ერთმანეთს;

ბ) სწავლის შედეგების ფორმულირება განსხვავებულია, თუმცა შინაარსობრივად შეიძლება იდენტურად იქნეს მიჩნეული;

გ) მიღწეული სწავლის შედეგი მოიცავს მოთხოვნილი პროგრამის სწავლის შედეგს, ანუ ვერ იქნებოდა მიღწეული, ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის გარეშე;

დ) სწავლის შედეგების შესაბამისი შესრულების კრიტერიუმებს შორის განსხვავება არ შეიძლება გახდეს სწავლის შედეგის აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

20. პროფესიული სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს მობილობის უფლებას, ვალდებულია გონივრულ ვადაში კოლეჯს წარუდგინოს მისი პირადი საქმე:

- განცხადება;
- სასწავლო ბარათის ასლი (დამოწმებული გამომშვები დაწესებულების ბეჭდით);

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სრული ზოგადი/საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ერთი ფოტოსურათი 3X4-ზე;

21. მობილობის მსურველმა (გარე მობილობის შემთხვევაში) სასპორტო მიმართულების პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად უნდა ჩააბაროს შიდა სპორტული ტური, საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

მუხლი 9. შიდა მობილობა



1. შიდა მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამავე კოლეჯის პროფესიული სტუდენტი.
2. დასაშვებია შიდა მობილობით კოლეჯის სტუდენტებისთვის შეუზღუდავად ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორე საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა, სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.
3. კოლეჯში შიდა მობილობა და მისი ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით.
4. შიდა მობილობა დასაშვებია, თუ პროფესიული სტუდენტი აკმაყოფილებს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას;
5. შიდა მობილობა დასაშვებია პროგრამისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში არსებულ თავისუფალ ადგილებზე;
6. შიდა მობილობის სურვილის შესახებ პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს დირექტორს, სადაც მიუთითებს თუ რომელ პროგრამაზე სურს გადასვლა შიდა მობილობის წესით;
7. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში;
8. შიდა მობილობით ჩარიცხვის წინაპირობები და პროცედურები ხორციელდება წინა, დებარე დოკუმენტია მე8 მუხლის შესაბამისად.
9. პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საიდანაც გადადის და გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კოლეჯის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 10. მობილობის უფლების შეზღუდვა

1. შიდა მობილობა პროფესიულ პროგრამაზე შესაძლებელია ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

2. კოლეჯში შიდა მობილობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე თავისუფალი ადგილი.
3. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
 - ა) კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
 - ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმდები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
 - გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაძლებელია რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება. ასეთ შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისება მიღევად რეჟიმში და შემდეგ მოახდინოს მისი შეცვლა ან გაუქმება შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.
2. თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს გასაუქმებელი ან შესაცვლელი საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე პროფესია, კოლეჯი ახდენს მის შეთავაზებას განსხვავებული დისციპლინების სწავლის საფასურისგან განთავისუფლების პირობით.
3. იმ შემთხვევაში, თუ ზემოთხსენებული გარემოებები არ არსებობს, დაწესებულება იღებს ვალდებულებას მოიძიოს და ითანამშრომლოს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს იგივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, აღნიშნულის შესახებ მიაწვდის პროფესიულ სტუდენტს დეტალურ ინფორმაციას და დაეხმარება მობილობის პროცესის განხორციელებაში.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი აწვდის ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტს არსებული დაფინანსების წესის შესახებ.

თავი IV. სასწავლო პროცესის ორგანიზება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი

მუხლი 12. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის კოორდინატორები და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყება/დამთავრება რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. კოლეჯი უზრუნველყოფს ყოველ ახალ ნაკადთან საინფორმაციო-გაცნობითი შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებას.
4. საინფორმაციო-გაცნობითი შეხვედრებს ატარებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

შეხვედრებზე პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) პროფესიულ სტუდენტებსთვის შეთავაზებული მომსახურეობა

ბ) სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და კოლეჯში არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ

გ) პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და მათი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ.

დ) შეხვედრაზე სტუდენტებს აცნობენ კოლეჯის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციას.

მუხლი 13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.
2. კოლეჯი ახორციელებს IV და V საფეხურების საგანმანათლებლო პროფესიულსა და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ (მოდულურ) პროგრამებს:
3. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა და შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების, ასევე საგამოცდო პერიოდების ერთობლიობას, რომლის მოცულობა განისაზღვრება კრედიტებით: 1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ სთ-ს (50 წუთი აკადემიური საათი + 10 წუთი შესვენება).

6. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს, სასწავლო გეგმისა და მოდულის ჩარჩოს მიხედვით, ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, შედგენილი გეგმები და შეფასების ინსტრუმენტები ვერიფიკაციის პროცესისთვის გადაეცემა ხარისხის მართვის მენეჯერს .
7. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის კალენდარული გეგმისა და მოდულის გათვალისწინებით, მოდიფიცირებულ სასწავლო მასალას განსაზღვრავს და ადგენს საჭიროებისამებრ პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან შეთანხმებით.
8. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი.
9. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
 - საგნის/ მოდულის დასახელება;
 - პროფესიული განათლების მასწავლებლის/განმახორციელებლის სახელი და გვარი;
 - ლექციის ჩატარების დრო;
 - ლექციის ჩატარების ადგილი;
10. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით.
11. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების დრო და არდადეგები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

თავი V. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი

წინამდებარე წესი ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტისთვის განსაზღვრული კრედიტების მიღების მიზნით პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესებს

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება საგნობრივი პროგრამის ფარგლებში.

1. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
2. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.
3. პროფესიული სტუდენტის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
 - **შუალედურ შეფასებას;** პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასება ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ; შუალედური შეფასებების რაოდენობა, ჩატარების დრო და მეთოდი განისაზღვრება ინდივიდუალურად სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით.

- **დასკვნითი გამოცდის შეფასებას;** გამოცდების გრაფიკი და მის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება კოლეჯის სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის მიერ.
4. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ
 5. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: 60 ქულა - სემესტრული შეფასება, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ 11 ქულა.
 6. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა უშვებს:
 - ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას;**
 - ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - ბ) **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;
 7. პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საშუალება საგნის პედაგოგთან შეთანხმებულ დროს გამოცხადდეს შუალედურ შეფასებაზე განმეორებით.
 8. პროფესიული სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, მას უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არანაკლებ 10 (ათი) დღის შემდეგ.
 9. დამატებითი გამოცდა ინიშნება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სასწავლო პროცესის მენეჯერის მოხსენების საფუძველზე.

მუხლი 15. გამოცდის ჩაბარების წესი.

1. პროფესიული სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:
 - ა) დანიშნულ გამოცდაზე არასაკმარისი მიზეზით გამოუცხადებლობა;

ბ) გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;

გ) გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი ჩანაწერების გამოყენება;

დ) გამოცდის ჩაშლის მცდელობის ან შინაგანაწესის დარღვევის გამო აუდიტორიიდან გამოძევება

ე) გამოცდაზე შეფასების ამ კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 41%-ზე ნაკლების მიღება.

2. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე მოთხოვნით, საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით;

3. გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობები:

ა) 41-დან 51 ქულამდე სემესტრული შეფასების პირობებში სტუდენტს იმავე სემესტრში კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე;

ბ) თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი;

გ) პროფესიული სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება იმავე სემესტრში დამატებითი გამოცდისათვის დადგენილ ვადებში;

დ) ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დაუშვებელია;

ე) პროფესიულ სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღე;

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

2. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით;

- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;

3. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას პროფესიულ სტუდენტს, რომლის შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა წინა მოდულის დაძლევა, უფლება აქვს თითოეულ მოდულზე სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოდულის დასრულებიდან მომდევნო შაბათ დღეს, ერთჯერადად ისარგებლოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებაზე გასვლის უფლებით. ხოლო ამ ვადაშიც სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
5. განმსაზღვრელი შეფასებისას, პროფესიულ სტუდენტს, რომლის შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობა არ არის წინა მოდულის დაძლევა, უფლება აქვს თითოეულ მოდულზე სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში ერთჯერადად ისარგებლოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებაზე ალტერნატიული გასვლის უფლებით პროგრამის დასრულებამდე:
 - ა) მოდულის დასრულებიდან მომდევნო კვირის შაბათ დღეს. იმ შემთხვევაში თუ ეს შაბათი დღე ემთხვევა კანონით დადგენილ უქმე დღეს დამატებითი შეფასების განრიგს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ხოლო ამ ვადაშიც სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში მას შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
 - ბ) პროგრამის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე, ხოლო ამ ვადაშიც სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
6. საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე არ დაიშვება პროფესიული სტუდენტი, თუ ის ვერ მიაღწევს პროგრამის შემადგენელი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წინმსწრები მოდულების სწავლის შედეგებს, ხოლო ამავე მოდულის თანმდევი მდულები სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მოხდება მოდულის დასრულებიდან მომდევნო კვირის შაბათ დღეს. იმ შემთხვევაში თუ ეს შაბათი დღე ემთხვევა კანონით დადგენილ უქმე დღეს დამატებითი შეფასების განრიგს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი.
7. სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასების დროს, განსაკუთრებულ გარემოებათა საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სპორტის კოლეჯს და მოითხოვოს განმეორებითი სწავლის შედეგების დამატებითი შეფასება.
8. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
9. მსმენელის გამსაზღვრელი შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასება.

მუხლი 17. სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი

1. შუალედური/დასკვნითი გამოცდის/შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მასწავლებლის მიერ შესაბამისი უწყისის შევსებისთანავე (5 დღის ვადაში). შედეგების გაცნობის ალტერნატიულ ფორმას არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებელი იმგვარად, რომ არ დაირღვეს თითოეული პროფესიული სტუდენტის უფლებები;
2. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული შედეგების გასაჩივრების უფლება წარმოიშობა შედეგების გაცნობის დღიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღეში. პროფესიული სტუდენტი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რომელიც ქმნის სპეციალურ კომისიას, ხოლო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში;
3. გასაჩივრების შემთხვევაში, განცხადების წარმოებაში მიღებიდან კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში, სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს სალექციო განრიგით გათვალისწინებულ ლექციებს.
4. პროფესიულ სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან გონივრულ ვადაში;
5. განცხადების განხილვის შედეგად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამის შეფასების უწყისში;
6. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს პროფესიული სტუდენტი, არ განიხილება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
7. პროფესიულ სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება წერილობით/მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გადაწყვეტილების მიღებისთანავე;

მუხლი 18. კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესი, მათი სტრუქტურა და შეფასების მტკიცებულება.

1. კალენდარულ გეგმაში კონკრეტული მოდულის განხორციელება წინასწარ გაწერილია (დანართი №1);
2. კალენდარული გეგმა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად.
3. კალენდარული გეგმა წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, კონკრეტული მოდულის განხორციელების პროცესის შეფასების და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების ინიცირებისათვის.
4. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს/პირებს;
5. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას;

6. შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (დანართი №2):
 - ა) მოდულის სახელწოდებას და სარეგისტრაციო ნომერს;
 - ბ) მოდულის განმახორციელებლისა და შესაფასებელი სტუდენტის სახელსა და გვარს;
 - გ) შეფასების ჩატარების თარიღს;
 - დ) სწავლის შედეგის ნომერს ან დასახელებას;
 - ე) შესრულების კრიტერიუმებსა და ინსტრუქტაჟს (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);
 - ვ) ინსტრუმენტის შინაარსს;
 - ზ) შეფასების კრიტერიუმებს;
 - თ) შესრულების მტკიცებულებას;
7. შესრულების მტკიცებულება არის შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებული დადასტურება;
8. შესრულების მტკიცებულების შეგროვებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი;
9. შეგროვების შემდეგ შესრულების მტკიცებულებები გადაეცემა სასწავლო პროცესის კოორდინატორს და ინახება სტუდენტის პორტფოლიოში 3 (სამი) წლის ვადით.

მუხლი 18¹. უწყისის შევსებისა და რეგისტრაციის წესი

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისი ივსება ხელით ან ელექტრონულად მოდულის განმახორციელებლის/შემფასებლის მიერ (დანართი 4)
2. შევსებული უწყისი ბარდება სასწავლო პროცესის კოორდინატორს
3. უწყისის ჩაბარების ვალდებულება ეკისრება შემფასებელს, რამდენიმე შემფასებლის შემთხვევაში - ბოლო შემფასებელს
4. უწყისით გაფორმებული შეფასება ძალაში შედის კოორდინატორისთვის მისი ჩაბარებისა და კოორდინატორის მიერ უწყისის ხელმოწერის და ნომრის მინიჭების მომენტიდან.
5. სასწავლო პროცესის კოორდინატორი ვალდებულია უწყისთან ერთად შემფასებელს მოსთხოვოს შესრულების მტკიცებულებ(ებ)ის წარმოდგენა
6. სასწავლო პროცესის კოორდინატორის მიერ უწყისი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში, რეგისტრაცია ყოველი ახალი სასწავლო წლიდან თავიდან იწყება
7. თარიღი - იწერება უწყისის დახურვის თარიღი
8. შემფასებელი - იწერება შემფასებლის სახელი და გვარი, თუ შეფასებას რამდენიმე პირი ახორციელებს თითოეული შემფასებლის გვერდით ფრჩხილებში იწერება სწავლის შედეგების ნომერი
9. სწავლის შედეგი - იწერება სტუდენტის შეფასება
10. მტკიცებულება - იწერება იმ საქაღალდის ნომერი, სადაც მოტავსებულია პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო და მტკიცებულებები;

მუხლი 19. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმები

1. ტერმინი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება - გულისხმობს ინტელექტუალური და განვითარების დარღვევის ან/და სენსორული (სმენისა და მხედველობის) ან/და ქცევითი და ემოციური დარღვევის ან/და ფიზიკური შეზღუდვის ქონას.
2. კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. ასევე სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას.
3. პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, სსსმ აპლიკანტს პროგრამის ტესტირებაზე შეუძლია დარეგისტრირდეს სარეგისტრაციო ცენტრში, რესურს ცენტრში, ვებ გვერდის - www.vet.emis.ge საშუალებით ან კოლეჯში მისამართზე ქ. თბილისი ჭავჭავაძის N49.
4. რეგისტრაციისას, სსსმ აპლიკანტათვის პროგრამების შერჩევაში კონსულტაციის გაწევის მიზნით, რეგისტრატორი აპლიკანტს სთავაზობს პროგრამების იმ ჩამონათვალს, რომლის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსაც ის აკმაყოფილებს.
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტათვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით.
6. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მოხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს.
7. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში მათი სრულყოფილი ინტეგრირების მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს საჭირო ადამიანური რესურსის (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, გადაადგილების მხარდაჭერი, სპეციალური მომვლელი) მოძიებას და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას;

თავი VI. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა. სასწავლო პროცესის დოკუმენტების წარმოება და შენახვის ვადა

მუხლი 20. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემის წესი

1. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურისათვის სტანდარტითა და კოლეჯის პროგრამით დადგენილი კრედიტების დაგროვების შემდეგ სტუდენტს ენიჭება

შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ჩარჩო დოკუმენტზე შექმნილი საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამის დასასრულს პროფესიულ სტუდენტს ყველა ზოგადი, სავალდებულო და არჩევითი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების ჯამის დაგროვების შემთხვევაში ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბრძანების გამოცემის შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი;
4. პროფესიული დიპლომის გაცემაზე უფლებამოსილია კოლეჯი;
5. შევსებული პროფესიული დიპლომის რეგისტრაცია მიმდინარეობს პროფესიული დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალში.
6. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემა მფლობელზე წარმოებს პიროვნების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის საფუძველზე (არასრულწლოვნის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის საფუძველზე).
7. პროფესიული დიპლომის გაცემა რწმუნებულ პირზე ხდება შესაბამისი მინდობილობისა და პიროვნების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში (მინდობილობა რჩება ადგილზე).
8. პროფესიული დიპლომების (პროფესიული დიპლომის დუბლიკატები) შენახვასა და გაცემას ახორციელებს სასწავლო პროცესის კოორდინატორი.
9. პროფესიული დიპლომი გაიცემა კურსდამთავრებულზე, რომელიც დიპლომის გაცემაზე უფლებამოსილ პირს წარუდგენს შესაბამისი პირების მიერ ხელმოწერილ შემოვლის ფურცელს, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტს არ გააჩნია რაიმე სახის ფინანსური და/ან მატერიალური დავალიანება, ასევე დავალიანება ბიბლიოთეკაში (დანართი №3).
10. პროფესიული დიპლომის ფორმა, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან (ენობრივი სისწორე) და სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან (სფს - ფინანსთა სამინისტროს ინიციალი კოდი) შეთანხმებით, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N99/ნ (29.05.2019).

მუხლი 21. სასწავლო პროცესის დოკუმენტების წარმოება და შენახვის ვადა

1. სწავლის შედეგის მტკიცებულებები ინახება სამი წლის ვადით.
2. შეფასების უწყისები, შევსებისა და რეგისტრაციის წესები დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმით იწარმოება/ივსება შეფასების ჩატარებიდან გონივრულ ვადაში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ იბეჭდება და უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით (დანართი №4).

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური სახით - მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი მოდულური პროგრამებით.
4. მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები ინახება ე.წ. სტუდენტის პორტფოლიოებში, მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.
6. ზემოაღნიშნული მტკიცებულებები ინახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის მანძილზე, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

მუხლი 22. დასკვნითი დებულებები

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ასევე ძალადაკარგულად გამოსცხადება, შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ დირექტორის მიერ სათანადო ბრძანების გამოცემის გზით.
3. მარეგულირებელი წესის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს დირექტორი ან მისი მოადგილე.
4. მარეგულირებელ წესს თან დაერთვის შემდეგი დანართები, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე

დანართი N 1

**სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო კოლეჯი
კალენდარული გეგმა**

- პროგრამის სახელწოდება -
- პროგრამის საფეხური -
- მოდულის კოდი და სახელწოდება -
- მოდულის კრედიტების რაოდენობა -
- მოდულის განმახორციელებელი -

მოდულის განმავლობაში სისტემატურად ხორციელდება განმავითარებელი შეფასება, რომლის ფარგლებშიც ფასდება სტუდენტის პროგრესი


კვირის №	თარიღი, დღე თვე, წელი	სასწავლო დატვირთვის ტიპი	დრო (სთ)	თემატიკა

შედგენილია მოდულის განმახორციელებლის მიერ - სახელი და გვარი /ხელმოწერა
 შეთანხმებულია ხარისხის მენეჯერთან - სახელი და გვარი /ხელმოწერა

დანართი N 2

**სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
 სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი
 შეფასება**

საგანმანათლებლო პროგრამა
 მოდულის სახელწოდება-
 სარეგისტრაციო ნომერი-
 მოდულის სტატუსი-
 მოდულის განმახორციელებელი-
 პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი
 შეფასების ჩატარების თარიღი

სწავლის შედეგი	№
შესრულების კრიტერიუმები	ჩამონათვალი: 
შეფასების მიმართულება	გამოკითხვა (ზეპირი ან წერილობითი)
შეფასების ინსტრუმენტები	
შეფასების ჩატარების ადგილი და ხანგრძლივობა	
შინაარსი	
შეფასების მტკიცებულება	

შესრულების კრიტერიუმები	დადასტურდა	არ დადასტურდა	შენიშვნა

ჩეკ-

ლისტი პრაქტიკული დავალების შესრულების და ზეპირი გამოკითხვის

შესრულების კრიტერიუმები (ჩამონათვალი)	დადასტურდა	არ დადასტურდა	შენიშვნა

მოდულის განმახორციელებელი - _____

შეთანხმებულია - _____

ბიბლიოთეკის ცნობა N -----

ემლევა, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის

პროგრამის სტუდენტს,

პ/ნ

მასზედ, რომ მას

არ ერიცხება ბიბლიოთეკის დავალიანება

ბიბლიოთეკარი

/ მარიამ თუშიშვილი /

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო კოლეჯი

პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისი №

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

მოდული:

მოდულის სარეგისტრაციო ნომერი:

№	პროფესიული სტუდენტის გვარი, სახელი	სწავლის შედეგი №				მტკიცებულება
		1	2	3	4	
1						
2						
3						

შემფასებლის (შემფასებლების) ხელმოწერა:

სასწავლო პროცესის კოორდინატორი:

თარიღი:

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო კოლეჯი

უწყისის შევსებისა და რეგისტრაციის წესი:

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისი ივსება ხელით ან ელექტრონულად მოდულის განმახორციელებლის/შემფასებლის მიერ;
2. უწყისი ბარდება სასწავლო პროცესის კოორდინატორს;
3. უწყისის ჩაბარების ვალდებულება ეკისრება შენფასებელს; რამდენიმე შემფასებლის შემთხვევაში - ბოლო შემფასებელს;
4. უწყისით გაფორმებული შეფასება ძალაში შედის კოორდინატორისთვის მისი ჩაბარების და კოორდინატორის მიერ უწყისის ხელმოწერისა და ნომრის მინიჭების მომენტიდან;
5. სასწავლო პროცესის კოორდინატორი ვალდებულია უწყისთან ერთად შემფასებელს მოსთხოვოს შესრულების მტკიცებულებ(ებ)ის წარმოდგენა;
6. სასწავლო პროცესის კოორდინატორის მიერ უწყისი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში. რეგისტრაცია ყოველი ახალი სასწავლო წლიდან თავიდან იწყება;
6. თარიღი - იწერება უწყისის დახურვის თარიღი;
7. შემფასებელი - იწერება შემფასებლ(ებ)ის სახელი და გვარი, თუ შეფასებას რამდენიმე პირი ახორციელებს თითოეული შემფასებლის გვერდით ფრჩხილებში იწერება სწავლის შედეგის(ების) ნომრები;
8. სწავლის შედეგი - იწერება სტუდენტის შეფასება - „დადასტურდა“, „არ დადასტურა“;
9. მტკიცებულება - იწერება იმ საქაღალდის ნომერი, სადაც მოთავსებულია სპროფესიული სტუდენტის პორტფოლიო და მტკიცებულებები;